572/
1987/2

ISSN 0132—5965

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიკჭიკი

1987 მაისი № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინე უშვერიძე

სამაისო

კრემლის კოშკიდან მოფრინდა
მშვიდობის თეთრი მტრედი,
ზეცას ნათელი მოჰფინა,
რა ლამაზია, დედი!
ღუღუნით შეინავარდა,
მაისი მოგვასწარა.
აუფაფებულო მამულო,
მშვიდობა გქონდეს მარად!

მხატვარი გიორგი როინიშვილი

მზია ჩხეტიანი

იქნებ პაპაჩემია

რა მზის შუქი დახვავდა!
ხედავ,
როგორ აეფავდა
ჯარისკაცის საფლავთან
ნუში ტოტებდახრილი!?
ჯარისკაცო მოგწყინდა?!—
ია ამოფოფინდა,
მერე ჩიტიც მოფრინდა
სტვენითა და მახილით!
აქ ვინ მიწვა დაღლილი,
ვინ ჩააგო მახვილი
მტერთან რკინით ნალეწი?!
ჩვენ გვიბოძა ცისკარი,
მას კი გრძნობა ცინცხალი
გაეყინა თვალებში?
ვისი სისხლის წინწკალი
გაშრა ასე ადრიან?
ამ გმირს ნეტა რა ჰქვია,
ეფაფილებს რომ აერიან,
ბილილ-ბილილ გვირილით
ქარს რომ დაუბარდნია?!
დაჭრილსაც რომ სჯერია
ხმალი მტერზე ნალესი...
იქნებ ბაბაშენია
იქნებ ბაბაჩემია,
როგორ გაახარებდა,
ალბათ, ჩვენი ალერსი!

572
1987/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

150

ბივი ბეგეჭკორი

18469

„ჩემო კალამო...“ „საქართველოს მოამგე“. „კაცია-ადამიანი?!“ მომრიგებელ შუამავლად და მოსამართლედ სამსახური. „ბაზალეთის ზვა“

ეტერ ბურგიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ილიამ გადაწყვიტა მთელი სიცოცხლე საქართველოს სამსახურისთვის შეელია. საქართველოში იმ დროს ბატონყმობა იყო გამეფებული. მდიდარ თავადებს — ბატონებს ყმებად ჰყავდათ ღარიბი გლეხები, რომლებიც ბატონების მამულში მიწებს ამუშავებდნენ, მოსავალი მოჰყავდათ, ფრინველსა და პირუტყვს უვლიდნენ; მათი მძიმე შრომის ნაყოფი კი ბატონებს მიჰქონდათ; თან ბატონები ყოველნაირად ჩაგრავდნენ ყმებს, ადამიანებად არც კი თვლიდნენ. ილიამ გადაწყვიტა, სიტყვით თუ კალმით შებრძოლებოდა არსებულ უსამართლობას.

თავის ერთ ლექსში იგი წერდა: ჩემო კალამო, რად გვინდა, ტაში რომ დაგვიკრან; გინდაც დაგვძრახონ, ჩვენ ერთგულად ვემსახუროთ ჩვენს ხალხს, შევებრძოლოთ ბოროტებას, ცუდს ნუ დავმალავთ, და სიმართლე უშიშრად მოვფინოთ ქვეყნადო.

თავადებს არ მოეწონათ, ილიამ რომ ბატონყმობის წინააღმდეგ გაილაშქრა; იმის გამოც მტრულად განეწყვნენ მის მიმართ, რომ ილიამ მოითხოვა ლიტერატურიდან მძიმე, მწიგნობრული ენის განდევნა. მწერლობის საფუძველი ხალხის ცოცხალი ენა უნდა იყოსო, უბრალო ხალხს თავის სატკივარზე ასეთი ენით უნდა ველაპარაკოთო. ამიტომ გვჭირდება ჟურნალი, რომელიც ხალხს გააგებინებს, წინ როგორ წავიდეთ, რა შევცვალოთ ჩვენს ცხოვრებაში, რას შევებრძოლოთ და რა დავგმოთო.

ილიამ, მათლაც, ახალ თაობასთან ერთად დააარსა ასეთი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ ჟურნალში დაიბეჭდა პირველად მისი მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“ „კაცია-ადამიანის“ გმირი ლუარსაბ თათქარიძე უქნარა, უვიცი და მუცელღმერთა თავადიშვილია. როცა მის სახეს ქმნიდა, ილია ამბობდა: შეიძლება ბევრმა თავისი თავი იცნოს, ლაფის სროლა დამიწყოს და გიჟი დამიძახოს, მაგრამ ჩვენს საზოგადო ჭირზე ვწერ და თავი ერთი ქართული ანდაზით უნდა გავიმხნევო: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. ილიას უნდოდა, ამ მოთხრობით ქართველი კაცი ჩაეფიქრებინა თავის ავ-კარგზე.

მოთხრობაში თავიდან აღწერილია ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარი, გვერდზე წამოლებული და წამოხრილი სასიმინდე, რომელიც თითქოს გრილოში წამოწოლას აპირებსო; ძველი ტყრუშული ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეულია, უშველებელი ჭიშკარი, რომლის ერთი ნახევარი „ისე საცოდავად, დაღრეჯით გადმოჰკიდებოდა ერთს ყუნწსა, ასე გგონია — ბოძს დაუჭერია საცემლადაო“ და ის კი იწევსო, რომ როგორმე ხელიდან დაუსხლტესო; ...უწმინდური ეზო... შიგ სახლში აგურის იატაკი, აგურები შიგა-და-შიგ ამოცვივნულა; იმათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩაგივარდა, ვაი შენს მტერს!..“

ოთახში ორ გრძელ ტახ-

ეროვ. ბიბ. ბ. ბერძენიშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტზე „ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეფინა ზედა, რომ, როცა კნეინა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალების ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა.

ამ სახლ-კარის პატრონი თავადია, მაგრამ უდარდელია და ზარმაცი; მხოლოდ ჭამა-სმაზე ფიქრობს და ტახტზე გორაობს. ის თავის სახლ-კარზეც კი არა ზრუნავს. ქვეყნის სატკივარსა და ქვეყნის ხვალინდელ დღეზე როგორ იფიქრებს!

ილიას გული სტკიოდა, რომ ასეთი არაფრის მაქნისი ხალხი ეგულებოდა საქართველოში და უნდოდა როგორმე თვალი აეხილა თავისი ხალხისათვის. მაშინ რუსეთში უკვე გაუქმდა ბატონყმობა, საქართველოშიც მზადდებოდა ეს რეფორმა — გლეხები ყმობისაგან უნდა განთავისუფლებულიყვნენ; მაგრამ ილიამ ისიც მოითხოვა, მებატონემ ყმა მიწიანად გაათავისუფლოსო. ერთ კრებაზე, სადაც ილიამ ეს განაცხადა, ერთმა თავადმა ხმალი იშიშვლა და ლანძღვა-გინებით ილიაზე გაიწია: „გამიშვით, ახლავე უნდა მოვკლაო“. გადარეული მებატონე კრებიდან ძლივსძლივობით გაიყვანეს თურმე.

მალე ბატონყმობა გადავარდა.

1864 წლის აპრილში ილიამ ქუთაისში დაიწყო სამსახური, ნოემბრიდან კი მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა გარეკახეთის, თბილისის და მცხეთის უბნებზე. ეს მისთვის საუკეთესო ადგილი იყო. ვერსად ისე ვერ დაეხმარებოდა გლეხობას, როგორც აქ. მას სოფელ-სოფელ უნდა ევლო და ადგილზე გაერჩია დავა ნაბატონევსა და ნაყმევს შორის, ეპატრონა ქვრივ-ობლისათვის და ყოფილიყო გლეხკაცობის მასწავლებელი.

იმდროინდელი ხალხი იგონებს, მიწას რომ გვიზომავდნენ, ათასაჟენიანი თოკი გვეჭირა ხელში, ილია გლეხებს მხარდამხარ მოგვდევდა და გვეხმარებოდაო, — როცა მებატონეები რამეზე აყაყანდებოდნენ, თვალს ჩაგვიკრავდა და გვანიშნებდა, გასწით თოკსაო, მერე ჩაიცინებდა, გადახტითო. ასე უმატებდა ილია გლეხებს ცოტ-ცოტა მიწას. გლეხებმაც სიყვარულით „გადახტი ბატონი“ შეარქვეს.

1868 წლის თებერვალში ილია დუშეთში დაინიშნა მომრიგებელ მოსამართლედ, ერთხელ თურმე ერთ გლეხს დატვირთული საძნე ურემი მოჰქონდა. კამეჩები გალექდნენ და ერთი ენაგადმოგდებული კამეჩი მუხლის კვირისტავებზე დაეცა. გაბრაზებულმა მეურმემ ჩოქზე დაცემულ კამეჩს უწყალოდ ცემა დაუწყო. ეს დუშეთის სასამართლოს ფანჯრიდან დაინახა ილიამ, მეურმე დაიბარა და პასუხისგებაში მისცა. მეურმემ თურმე უთხრა: „ბატონო, საქონელი ჩემია და რასაც მინდა, იმას ვუზამო“. ილიამ უპასუხა: „შენ რომ გული გქონოდა, იმ კამეჩის ვედრებას შეისმენდი, ენაგამოგდებული გევედრებოდა, შენი ჭირიმე, ჩემო პატრონო, ნუღარ მცემ, ძალიან მცხელა და გაწევა აღარ შემიძლიაო...“ გასწი, და თუ კიდევ ეგრე მოექცევი, ციხეში ჩაგსვამო.

ერთხელ თურმე ერთ გლეხს — ნასყიდა პაპიაშვილს — მუხრანელი კაცის ფული ემართა. ერთ კვირა დღეს მას ნატბევის მუხის ძირში ღამით ხარი ჰყავდა გაშვებული. შუადღე მოტანებული იყო, რომ თეთრი ცხენით მოვალე გამოჩნდა. ამოიღო თურმე ნასყიდამ ფული და მოვალეს მისცა. მუხრანელმა კაცმა ნასყიდას ქუდი მოუხადა, ცხენს მათრახი შემოჰკრა და დუშეთის გზას გაუდგა. ნასყიდას მოაგონდა, რომ მოვალეს თამასუქი არ დაახევინა, და უკან დაედევნა: „დაიცა, დაიცაო!“ მაგრამ მოვალემ უთხრა: შე კაცო, ყველა თამასუქი რომ ჯიბით ვატარო, ერთი ვირი დამჭირდებაო, მუხრანში ჩამოდი და წამოიღეო. გასულა თვე, ნასყიდას დაზარებია მუხრანში ჩასვლა და ერთ დღეს, გუთანს რომ მისდევდა, თავზე ჩაფარი დასდგომია. თურმე მუხრანელ კაცს ნასყიდასათვის უჩივლია, ჩემი ვალი აქვს და არ მაძლევსო. მოსამართლეს — ილია ჭავჭავაძეს — ნასყიდასათვის უკითხავს: ამ კაცისაგან ვალი რომ აგიღია, ვალს გადახდა არ უნდაო? ნასყიდას დაუფიცია: ვალი, რახანია, გადავუხადეო. ილია მიმხვდარა, რომ ნასყიდას მართლა გადახდილი ჰქონდა ვალი, მაგრამ მოვალეს ხელში თამასუქი ეჭირა. მაშინ ილიას ნასყიდასათვის უკითხავს: ვალს რომ უსტუმრებდი, მოწმე არავინ იყოო. არა, შენი ჭირიმე, იმ მუხისა და ჩემი ხარ-კამეჩის მეტი არა ყოფილა რაო. მაშ, ადექი და იმ მუხის ფოთოლი მომიტანეო, უთქვამს ილიას. ნასყიდა დაფაცურებულა, სარტყელში გაკეთებული ქუდი ამოუძვრია და ის იყო, ნიშნის მოტანა დაუპირებია, რომ ბრიყვ მევა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს ვეღარ მოუთმენია: შე დალოცვილო, სანამ ეგ ნატბევზე გადავა და იმ მუხის ფოთოლს მოიტანს, მანამდე კიდეც დაღამდებაო. მაშინ ილიას უთქვამს მომჩივანისათვის: აკი არ იცოდი, ის მუხა სად იყო, ნასყიდას ვალი შენთვის იქ მოუცია, ეგ თამასუქი ახლავე დახიე და თავალით აღარ დამენახოო...

დუშეთში გაუგონია ილიას ბაზალეთის ტბის ლეგენდა. ამ ლეგენდის მიხედვით, ტბის ადგილას ადრე სოფელი ყოფილა. ერთი მაღალი კოშკი მდგარა და კოშკს ჭა ჰქონია. ამ ჭიდან ვინც წყალს ამოიღებდა, სარქველი უნდა დაეფარებინა, თორემ წყალი გადმოვიდოდა და კოშკში ხალხს დაახრჩობდა. იმ კოშკში ერთ პატარძალს ჰყოლია ოქროსქორწინიანი ბიჭი, ოქროს აკვანში ზრდიდა. იმ ციხე-კოშკს ჯარი იცავდა, ერთხელ გამოსულა პატარძალი, ვერცხლის კოკა აუვსია და ჭა პირახდილი დაუტოვებია... კოშკი წყლით ავსებულა და სოფელიც თან ჩაუტანია... ამ ლეგენდის შთაგონებით ილიას მოგვიანებით დაუწერია ლექსი „ბაზალეთის ტბა“.

ილიას ლექსში ოქროს აკვანი ტბის ძირშია; იქ მუდამ გაზაფხულია და ჯერ იქ კაცთაგან არავინ ჩასულა. ამბობენ, ის აკვანი იქ თამარ დედოფალს ჩაუდგამს და ის ტბაც ქართველების ცრემლით შემდგარა, მაგრამ იმას არ ამბობენ, თამარ დედოფალმა აკვანში ვინ ჩააწვინა და ერმა ცრემლი ზედ რად დაადინა. ილია კითხულობს: იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისი სახელიც არ ითქმის და ვისაც ჩუმი ნატვრით დღედაღამ ნატრულობს ქართველიო. იმ ყრმის სახელი თავისუფლებაა, რადგან ჩვენი სანატრელი ეგ არისო, გვეუბნება ილია...



ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ბესო ხიდაშელი

ნოდარ შამანაძე

რა იქო და რა არ იქო

— ავთანდილი ვანოს სცემდა,
ნიკა განზე გამდგარიეო.
— ზღაპარ იო?
— მართლა იო!
— ჩვენი ქეთო პირველ კლასში
ორ წელიწადს დამჯდარიეო.
— მართლა იო?
— ზღაპარ იო!
— გიას ხუთი ვაშლი ჰქონდა,
ვეხვეწე და არ გამიეო.
— ზღაპარ იო?
— მართლა იო!
— ლეომ ტვირთი დას აჰკიდა
და თვითონ კი არ წაიღო.
— მართლა იო?
— ზღაპარ იო!
— ნინომ წუალი არ დაუსხა
და ვარდები დამჭკნარიეო.
— ზღაპარ იო?
— მართლა იო!
— ტარიელი ავად იო
და ტალახში ჩამდგარიეო.
— მართლა იო?
— ზღაპარ იო!
— კახაბერი აივნიდან
ვაშლის ბაღში ჩამხტარიეო,
ფეხიც, ხელიც მოსტეხოდა
და ნერგებიც დამტვდარიეო.
დედამისი ქვითინებდა,
მამაც დარდით ადარ იო.
— მართლა იო?
— ზღაპარ იო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავები დიდ ხეზე

გურამ პეტრიაშვილი

მხატვარი ნანა ჭურღულია

თოვლს გადაეთეთრებინა არემარე.

მხოლოდ ერთი დიდი ხე მოჩანდა შავად; ძირიდან კენწერომდე ყვავებს დაეხუნძლათ.

ისხდნენ ყვავები ხეზე და მობუზულიყვნენ.

ხანდახან გაივლიდა ვინმე გამვლელი, ჩაჰყოფდა თოვლში ხელს, მოძებნიდა ქვას, ძლივს ააგლეჯდა მიწას და გაუქანებდა ყვავებს.

ყვავები აფრინდებოდნენ და ისევ დაფრინდებოდნენ ხეზე.

ისხდნენ და თვლემდნენ.

მხოლოდ ერთი ყვავი არ თვლემდა. ის არც ქვის სროლაზე აფრინდებოდა ხოლმე. იჯდა ტოტზე და ფიქრობდა დარბაისლურად:

„მაშ ასე, ბატონო, აბა ვნახოთ, რა ხდება, დავიწყოთ ჩემით. მე ვარ ყვავი. ვფიქრობ, ამას წყალი არ გაუვა. მერე?..“

ყვავი უფრო ღრმად ჩაფიქრდა.

„მე ვარ ყვავი... მე ვარ ყვავი“, — ბუტბუტებდა ის... და უცებ დაამატა, — „მართლაც ყვავი... მართლაც ყვავი...“

„ოჰო“, — გაიფიქრა ყვავმა და უცებ სწრაფად მიეწყო სიტყვები ერთმანეთს:

მე ვარ ყვავი, მართლაც ყვავი.
დედაც ყვავი, მამაც ყვავი,
დებიც ყვავი, ძმებიც ყვავი,
ბიძაც ყვავი და ბიცოლაც,
დეიდაც და მისი ქმარიც,
იმ ქმრის მამაც და მამიდაც
და მამიდის ბიძაშვილიც,
ბიძაშვილის მაზლის ცოლიც
და იმ ცოლის დედამთილიც...
მოკლედ ყველა გახლავთ ყვავი:
ყველა ჩემი ნათესავი...“

„კეთილი, კეთილი, — ფიქრობდა ყვავი, —

ყველანი ვართ ყვავები და ვსხედვართ დიდ ხეზე. ვსხედვართ და ვართ ჩვენთვის. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რომ არ გვაცდიან ჩვენთვის ყოფნას? ვუშავებთ ვინმეს რამეს? არაფერს. აბა, ქვას რატომ გვესვრიან?

მოიცა, მოიცა, — უთხრა ყვავმა თავის თავს ფიქრებში, — ახლა ძალიან ცივა. ჩვენ გვცივა. და თუ ჩვენ გვცივა, ალბათ ადამიანებსაც უნდა სციოდეთ.

თუ კარგად დავუკვირდებით, ისინი ხომ მაინცდამაინც არ განსხვავდებიან ჩვენგან. ეგაა, რომ ისინი ვერ დაფრინავენ ჩვენსავით და ჩვენ კიდევ ქვის სროლა არ ვიცით მაგათსავით. ესაა და ეს.

ჯერჯერობით სწორად ვმსჯელობთ. განვაგრძოთ ფიქრი. ვიღაცას სცივა, ქვას კი მე მესვრიან. რატომაა ჩემი ბრალი, მას რომ სცივა? ვინა ვარ მე? მე ვარ ყვავი...

მე ვარ ყვავი... მე ვარ ყვავი, — ბუტბუტებდა ყვავი... და უცებ დაამატა, — სულმთლად შავი... სულმთლად შავი...

ოჰო, — გაიფიქრა ყვავმა და უცებ სწრაფად მიეწყო სიტყვები ერთმანეთს:

მე ვარ ყვავი, სულმთლად შავი.
დედაც შავი, მამაც შავი,
დებიც შავი, ძმებიც შავი,
ბიძაც შავი და ბიცოლაც
დეიდაც და მისი ქმარიც,
იმ ქმრის მამაც და მამიდაც
და მამიდის ბიძაშვილიც,
ბიძაშვილის მაზლის ცოლიც
და იმ ცოლის დედამთილიც...
მოკლედ ყველა გახლავთ შავი:
ყველა ჩვენი ნათესავი...

დიახ, ჩემო ბატონო, დიახ, — უთხრა ყვავმა თავის თავს,—ჩვენ შავები ვართ. ადამიანებს კი შავი ფერი არ მოსწონთ. ხოლო, როცა ადამიანს რამე არ მოსწონს, ადამიანი ფიქრობს: ეს მე არ მომწონს, მაშასადამე, ეს ცუდია.

ეჰ, — ამოიოხრა ყვავმა, — მე მგონი, გამოვიცანი.

ადამიანები გვიყურებენ ჩვენ და რადგან ჩვენ შავები ვართ, ცუდები ვგონივართ. და თუ ცუდები ვართ, ესე იგი ჩვენი ბრალი ყოფილა, რომ ცივა. ამიტომაც გვესვრიან და გვესვრიან ქვებს.

ეჰ, — უფრო ღრმად ამოიოხრა ყვავმა, — ახლა რა ვქნათ, გეთაყვა? ვერაფერს ვერ ვიზამთ, ჩემო ბატონო. ადამიანებს ჩვენ ხომ ვერ შევცვლით, თუკი ბუნებას ეგეთად გაუჩენია ეგ საცოდავები.

ყვავი დიდი ხნით ჩაფიქრდა.

საღამომდე იფიქრა.

და ბოლოს თქვა:

— მივხვდი, რაც უნდა ვქნათ, მოდით, ასე მოვიქცეთ...

ყვავმა არ დაამთავრა სათქმელი და აფრინდა.

გაფრინდა. იფრინა, იფრინა და რომ დაღამდა, ერთ თბილ ხევში ჩაფრინდა.

იქ ნაკადული მონანწკარებდა და ნაკადულის თავზე ზაფხულიდან შემორჩენილი ცის-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არტყელა ელავდა ღამეში.

წამოიღო ყვავმა ცისარტყელა...

მერე სადღაც ძველი საკერავი მანქანაც იშოვა...

მთელი ღამე ატრიალებდა ყვავი მანქანის სახელურს და გაჰქონდა მანქანას მხიარული დუგდუგი...

დილით ხალხმა დაინახა, რომ დიდი ხე მთლად აფერადებულიყო: ხეზე ისხდნენ ყვავები და ყველას ცისარტყელის წამოსასხამი ჰქონდა წამოსხმული.

კარგი სანახავი იყო.

ფერადი იყო ჩვენი ყვავი.

თვითონ ფერადი, დედაც ფერადი,
მამაც ფერადი, და-ძმაც ფერადი,
ბიძაც ფერადი და ბიცოლაც ფერადფერადი.
დეიდაც და მისი ქმარიც,
იმ ქმრის მამაც და მამიდაც
და მამიდის ბიძაშვილიც,
ბიძაშვილის მაზლის ცოლიც
და იმ ცოლის დედამთილიც...
ფერს აფრქვევდა ყველა ყვავი:
ყვავის ყველა ნათესავი.

ადამიანებს მოეწონათ ფერადი ხე და მის ირგვლივ ფერხული ჩააბეს.

ცეკვავდნენ მხიარულად.

ცეკვავდნენ და დროდადრო ყვიროდნენ:

— ყვავებს გაუმარ-ჯოოს!

— გაუმარ-ჯოოს!

ყვავებს გული აუჩუყდათ და ტირილი დაიწყეს. მათმა ცრემლებმა თოვლი დაადნო და...

გაზაფხულდა!

ო, რა კარგი იყო...

ყვავილებით აივსო არემარე.

ათიათასმა სურნელებამ თავბრუ დაახვია ყველას.

იყო დიდი მხიარულება.

ადამიანები ფერხულს უვლიდნენ და მღეროდნენ. თან ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ნახე, ჩვენი კარგი ფერადი ყვავები სიხარულით როგორ ტირიანო.

მართლაც კვლავაც ცრემლები ჩამოსდიოდათ ყვავებს.

ცრემლები ჩამოსდიოდა ჩვენს ყვავსაც.

ის ფიქრობდა:

— კეთილი, ჩემო ბატონო, ეს ყველაფერი კარგი. გაზაფხულდა, ადამიანები მხიარულობენ, მღერიან და ყვირიან: ყვავებს გაუმარჯოსო. კეთილი, მაგრამ ახლა ჩვენც რომ დავიწყოთ სიმღერა? მაშინ?... ადამიანებს ხომ არც ხმა მოსწონთ ჩვენი და ამიტომაც ჩვენი სიმღერა ალბათ ცუდი ეგონებათ... ნუ-ტავ რას იზამენ, ჩვენ მართლაც რომ დავიწყოთ ახლა სიმღერა?... ვაითუ კვლავ ქვები დაგვაყარონ?...

ასე ფიქრობდა ყვავი.

და ასევე ფიქრობდა მისი დედაც, მამაც, დებიც, ძმებიც... მოკლედ ყველა ნათესავი.

ტიროდნენ ყვავები დიდი ცრემლებით.

და ეს ცრემლები სიხარულისა არ იყო.

ტარიელ ჭანტურია

ცხენოსნური

— ცხენი არ მყავს?—ჯორს შევკაზმავ:
აჩუ-აჩუ, ჯორო!
გურიაში ვერ ჩამიყვან—
როგორ დავიჯერო!
ჯორიც არ მყავს?—ვირს შევკაზმავ!
აჩუ-აჩუ, ვირო!
გურიაში ვირით ჩასვლა
არვინ გაიკვირვოს!
მერე რა, რომ ვირიც არ მყავს!—
აჩუ-აჩუ, ცხენო!
გურიაში ჩასვლა მინდა,
ნუღარ შემარცხვენო!
ხომ არსებობს ჯოხის ცხენი!
არ არსებობს ჯოხის ვირი?
— ჯოხის ვირი? არის, ოღონდ
პატარაა, როგორც ჩხირი!
— თუ არსებობს ჯოხის ვირი,
არ არსებობს ჯოხის ჯორი?
— კი! არსებობს ჯოხის ჯორი!
ჯოხის ჯორი, და—ჩოჩორიც!
— აჩუ-აჩუ, ვირო!
აჩუ-აჩუ, ჯორო!
გურიაში ვერ ჩამიყვან—
როგორ დავიჯერო!

რევაზ დანელია

მახარე

შეაბეს ხარი უღელში,
ხარია, მარა რა ხარი!
უკან მიჰყვება სიმღერით
გუთანს პატარა მახარე.
ხნავს მიწას. გაზაფხულის მზე,
როგორც ღიღილო, უღიმის.
იის პერანგი აცვია,
ჰოი, რა ტკბილად ღიღინებს.
ხნულს მისდევს ბოლოქანქალა,
გუთანს კი—ბიჭი მახარე.
ცამ უკვე გადაიკარა.
მინდორი ლურჯად ხარხარებს.
შეაბეს ხარი უღელში.
ხარია, მარა რა ხარი!
უკან მიჰყვება სიმღერით
გუთანს პატარა მახარე.

დავით ჯავახიშვილი

საქართველოს ყვავილები

თითო-თითო ყვავილი
რომ მოვწყვიტოთ ყველამ:
ზოგმა—ნაზი კესანე,
ზოგმა—მატიტელა,
ზოგმა—თეთრი გვირილა,
ზოგმა—ასფურცელა,
ზოგმაც—ლურჯი ღიღილო
და ან საპონელა,
აოხრდება მინდორი,
ატირდება მდელო,
და დაგვმრახავს ერთხმად
მთელი საქართველო.

მხატვარი მანანა მორჩილაძე

მაყვალა გონაშვილი

რამ აამღერა იაჟუჟუნა

ჰაი, ჰაი, რომ არ უნდოდა ზამთარს წაბრძანება, მაგრამ თავს ზემოთ ძალა აღარ იყო, კარს უკვე გაზაფხული მოსდგომოდა, ლამაზი, მწვანეკაბიანი, მზისგვირგვინოსანი გაზაფხული, და მისთვის უნდა დაეთმო ადგილი. ჩიტები უკვე ჭიკჭიკებდნენ გაზაფხულის საგალობელს, ხეები უკვე ირთვებოდნენ საგაზაფხულო ყვავილ-მძივებით და ონავარი ნიავქარიც საგაზაფხულო დავლურს უვლიდა.

ყველას, ყველას უხაროდა გაზაფხულის მოსვლა, განსაკუთრებით კი მეფის ლურჯთვალა ასულს. მისი ჯადოსნური ყვავილი — იაჟუჟუნა გაზაფხულზე იწყებდა სიმღერას.

ამ გაზაფხულზეც გამოიტანა ქოთნით თავისი ჯადოსნური ყვავილი, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, არ ამღერდა ყვავილი. ლურჯთვალას ღიმილი ტუჩზე შეაცივდა. სეფექალებმა ქოთანი შეატრიალ-შემოატრიალეს, მზის სხივები უხვად დაეცეს ყვავილსო, წყალიც აპკურეს, იქნებ მწყურვალიაო, სულ ამაოდ, იაჟუჟუნა ჩვეულებრივი ყვავილივით დუმდა.

დაღონდა მეფის ასული, სევდამ მოიცვა მთელი სასახლე, მთელი სამეფო.

მეფემ სასახლის ბრძენთაბრძენი დაიბარა რჩევისათვის. ბრძენმა დიდხანს უარა ყვავილს გარშემო, იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ბრძანა: ეტყობა, ყვავილს მოსწყინდა ძველი სიმღერა და მოდი, ახალი ვასწავლოთო.

მოიყვანეს სასახლეში ყველა განთქმული მუსიკოსი, ზოგმა სალამური ააკვნესა, ზოგმა ქნარი, ზოგმა ტუბა და ზოგმაც ვიოლინო, როიალზეც დაამღერეს მუსიკოსებმა სიმღერები, მაგრამ სულ ამაოდ. ყვავილი ჯიუტად დუმდა.

ბრძენმა კიდევ იფიქრა, იფიქრა და ბრძანა: ეტყობა, მებაღე კარგად არ უვლიდა ყვავილს, განაწყენდა ჩვენი იაჟუჟუნა და იმიტომ აღარ მღერის, მებაღე დავსაჯოთ და იქნებ ამღერდესო.

მოიყვანეს მებაღე.

— პატიოსნებას გეფიცებით, დამნაშავე არა ვარ, — აქვითინდა მებაღე, — ყვავილს თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდი. ოღონდ ნუ დამსჯით, წავალ, ქვეყნიერებას შემოვივლი, გავიგებ, როგორ ვუწამლო იაჟუჟუნას, როგორ ავამღეროო.

—გავუშვათ, მამილო, — სთხოვა მეფის ასულმა, — ქვეყანა დიდია, იქნებ მართლაც გაიგოს, როგორ მოვარჩინოთ ჩემი იაჟუჟუნაო.

დაადგა მებაღე გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ პატარა ნაკადულს მიადგა. მოდიოდა ნაკადული და მოიმღეროდა.

— ასე ტკბილად რომ მღერი, ნაკადულო, ალბათ ჯადოსნური ხარ? — უთხრა მებაღემ ნაკადულს.

— ჯადოსნურიო? რის ჯადოსნური, რა ჯადოსნური!—ჩაიკისკისა ნაკადულმა,—ერთი უბრალო ნაკადული ვარ, იმიტომ ვმღერი, რომ მწყურვალმა ნადირ-ფრინველებმა ჩემი ხმა გაიგონონ, ტყიდან მოვიდნენ და წყურვილი მოიკლან. სიმღერა ხომ იმიტომ არის გამოგონილი, სხვას სიხარული მიანიჭოს.

— აი თურმე რატომ მღერიან, — გაიფიქრა მებაღემ და გზა განაგრძო.

ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ სოფელს მიადგა. სოფელი მტერს აეოხრებინა და გაევერანებინა, ერთ დანგრეულ ქოხთან დედაბერი ჩამომჯდარიყო, ხელში ფანდური ეკავა და მღეროდა.

— დედი, დედაშვილობას, — უთხრა მებაღემ დედაბერს, — მითხარი, რა გამღერებს, როცა ხმის გამცემიც კი არავინ გყავსო.

— სიმღერა იმედია, შვილო — უთხრა მებაღეს მოხუცმა. — ცხრა ვაჟი მყავს, ცხრავე მტერთან საბრძოლველად გავაგზავნე, თუ ჩემი შვილები გამარჯვებულნი დაბრუნდნენ, სიმღერა იარებს მოუშუშებს, სიხარულს გაუათკეცებს, სოფელსაც უფრო ხალისიანადააშენებენ; ხოლო თუ მტერი მოადგა ამ არემარეს, მას ჩემი სიმღერა გულზე ეკალივით მოხვდება.

— აი, თურმე რა ყოფილა სიმღერა, — იმედი და რწმენა, — გაიფიქრა მებაღემ და გზა განაგრძო, ამასობაში შემოაღამდა კიდეც. მაღალ ხეზე ავიდა, ქამრით ტოტზე დაება, არ გადმოვვარდეო და ის იყო, ჩაძინებას აპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა, რომ ცაზე ვარსკვლავი ამღერდა.

— რაზე მღერიხარ, ვარსკვლავო? — ჰკითხა მებაღემ.

— რაზე ვმღერივარ და სიმარტოვეზე! — დაიწკრიალა ვარსკვლავმა.

— რაო, სიმარტოვეზეო, — გაიოცა მებაღემ, შენს გარშემო ამდენი ვარსკვლავია, შენ კი მარტოობას უჩივი?

— ვარსკვლავი მრავალია, მთვარე კი ერთადერთი, — თქვა მომღერალმა ვარსკვლავმა, — მე იმიტომ ვმღერი, რომ ამ ათასობით ვარსკვლავში შემნიშნოს მთვარემ, ეჰ! — ამოიოხრა და კვლავ სევდიანად ამღერდა.

— ახლა კი მივხვდი, რატომ მღერიან, — სიმარტოვის გამო. — გაიფიქრა მებაღემ.

— ეჰეი, მზის სხივო, შენ მთელ ქვეყანას ზევიდან დასცქერი, ბევრი რამ გეცოდინება სხვებისათვის აუხსნელი და დაფარული, მითხარი, რატომ დადუმდა მომღერალი ყვავილი იაჟუჟუნა.

— გეტყვი, რატომაც არა. მისი სევდა მეც გულს მიკლავს, — თქვა პირველმა სხივმა.— იაჟუჟუნა იმიტომ დადუმდა, რომ მეგობარი დაკარგა.

— მეგობარი? — გაიოცა მებაღემ.

— ჰო, მეგობარი. ყოველ გაზაფხულზე იაჟუჟუნას თეთრფრთიანი პეპელა ესტუმრებოდა ხოლმე. მის დანახვაზე გახარებული ყვავილი სიმღერას იწყებდა. მღეროდა იაჟუჟუნა და ბედნიერი პეპელაც ცეკვავდა, თავს ევლებოდა მეგობარს, შუადღისას კი ყვავილს ფრთებს აფარებდა, მზის მცხუნვარებას რომ არ შეეწუხებინა მისი ნაზი მეგობარი.

— ახლა სად არის თეთრი პეპელა? — იკითხა მებაღემ.

— ე, საბრალო პეპელა ბოროტმა ობობამ ნეფილამ დაატყვევა, წამოდი, მე მიგასწავლი გზას, —თქვა მზის სხივმა.

მებაღე მზის სხივს აედევნა. მიდიოდა და თან ფიქრობდა. აი თურმე რა ამღერებდა იაჟუჟუნას — ბედნიერება! მაინც რა ბადებს სიმღერას? სიკეთე? იმედი? სიმარტოვე თუ ბედნიერება?

როგორც იქნა, ნეფილას სამეფოც გამოჩნდა. ხავსიანი, ნაცრისფერი სასახლის ყველა კედელში გაება ობობას ქსელი. ქსელში მშვენიერი პეპლები გაბმულიყვნენ. ნეფილა სასახლეში არ დახვდა მებაღეს, ახალი მსხვერპლის მოსაყვანად წასულიყო. ყველაზე მეტად იმან გააოცა მებაღე, რომ პეპლები ხმაშეწყობილად მღეროდნენ.

— რა გამღერებთო, — იკითხა მებაღემ.

— შიშით.—უპასუხეს პეპლებმა ერთხმად.

მებაღემ ჯიბიდან ხეხილის სამყნობი დანა ამოიღო და ქსელის დაჭრა დაიწყო, ამ დროს სასახლეში ობობა ნეფილაც დაბრუნდა.

— ოჰო, საკბილო თავისი ფეხით მობრძანებულა ჩემს სამეფოშიო, — დაიძახა მებაღის დანახვაზე.

დიდხანს იბრძოდნენ ნეფილა და მებაღე, დიდხანს ერკინებოდნენ ერთმანეთს, ბოლოს მაინც დაამარცხა ობობა მებაღემ.

—ოღონდ ნუ მომკლავ და ჩემი სამეფოს ხელმწიფედ დაგსვამ, — სთხოვა ნეფილამ მებაღეს.

— სხვა ქვეყანაში მეფობას ჩემს სამშობლოში მებაღეობა მირჩევნია. — უპასუხა მებაღემ.

— ოღონდ ნუ მომკლავ და რაც მწერები და პეპლები გადამისანსლავს, ყველას გავათავისუფლებ. — თქვა ნეფილამ.

— კარგი. — დაეთანხმა მებაღე.

ობობამ პირი დააღო და ამოფრინდნენ უამრავი კუტკალიები, ხოჭოები, ჭრიჭინები, სულ ბოლოს კი თოვლის ფიფქივით თეთრი პეპელაც გამოჩნდა.

მებაღემ აბლაბუდას ქსელიც დაჭრა და ყველა გაათავისუფლა ტყვეობიდან, თეთრი პეპელა კი მხარზე შემოისვა და სამშობლოსაკენ გამოსწია.

დაინახა თუ არა იაჟუჟუნამ პეპელა, საოცარი ხმით ამღერდა, ისე ტკბილად, რომ მთელი სასახლე ააცეკვა. ცეკვავდა ყველა, მეფის ლურჯთვალა ასული და სეფექალები, მეფე და დედოფალი, მებაღე და მზრუნველი, თქვენ წარმოიდგინეთ, ბრძენთაბრძენიც კი ცეკვავდა, ისე კი, სიმართლე თუ გინდათ იცოდეთ, ბრძენს მაინცა და მაინც არ ეცეკვებოდა, ფიქრობდა, რა მეშველება მე ვერ გამოვიცან იაჟუჟუნას დარდი და დღეიდან ჭკუას აღარავინ დამეკითხებაო.

მღეროდა იაჟუჟუნა და თეთრი პეპელა თავს დასტრიალებდა ერთგულ მეგობარს.

მხატვარი ნანა სულემანაშვილი



გიორგი წერეთელი

ბავშვების საყვარელ პოეტს — გიორგი წერეთელს 60 წელი შეუსრულდა. თაობებს ახსოვთ საქართველოში მისი ლექსები, განსაკუთრებით კი გონების სავარჯიშო ლექსებისა და გამოცანა-ლექსების ახალი სახესხვაობები, რომლებიც პოეტმა პატარებისთვის გამოიგონა, ზოგი კი — სხვა სახით არსებული — გააუმჯობესა. ესენია: **სხაპასხუპა, ორთა, სამთა, მისარითმები, შიგპასუხა, თავკიდურა, ანბანურა** და სხვა.
აი გამოცანის ახალი ფორმა — **თავკიდურა** — წინათ არსებულ სალექსო ფორმა — „აკროსტიხზე“ დამყნილი გამოცანა:

კუდიანებს დასდევს
ათრეული კუდით,
ტახტქვეშ დაიჯირა
ავაზაკი, ქურდი.

ახლა ვნახოთ როგორია შიგპასუხა?

ნაგაბი რკინის მკვნეტავი,
რა უნდა იეოს ნეტავი?

მისარითმები სამი სახისაა: **სრულრითმიანი, მაჯამურა და კოჭლმაჯამა.** ერთი ბავშვი კითხულობს მისარითმებს, მეორე, ან მთელი ჯგუფი კი პასუხს წამოიძახებს.
აი როგორია **თავისუფალი რითმით** მისარითმი:

თოვლს ამოვუსწარ ყელგრძელამ,
სახელად მქვია ენ....

აი მაჯამურა — ადრე არსებულ სალექსო ფორმაზე — მაჯამაზე დამყნილი გამოცანა:

ჩვენ გვეგონა, ბრიალა წაიკიდა ტყემ ალი,
თურმე ალი კი არა, მწიფდებოდა .....

მაჯამისა და გამოცანის შერწყმით შეთხზა გიორგი წერეთელმა კოჭლმაჯამებიც. აქ რითმა მაჯამურია, მაგრამ არასრული:

ზეკარი და კლდეკარი,
რაც შემეძლო, შევ....,
ახლა შენი ჯერია,
არ გაუდო მტერს ....

ორთა და **სამთა** ორი ან სამი ბავშვის წასაკითხი ლექსია.
აი ასეთია **ორთა**:

— სხვენზე გვება ჩურჩხელა,
შეგვიჯამეს თაგვებმა,
— ჩურჩხელას რად ვაბამდით,
ის თაგვები დაგვება.

სხაპასხუპა სხაპასხუპით წარმოსათქმელი ლექსია. ასეთია, ვთქვათ

შრომის ფერხული

ხერხი ხერხავს,
ბურდი ბურღავს,
შალაშინი უვლის ბუქნას.

დაბოლოს, ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ პოეტს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, რომ კიდევ ბევრი კარგი ლექსი დაგვიწეროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნუტების ფეხბურთი

თეთრ ბურთს დასდევს ფართოთეთრით
ორი კატის ათი კნუტი,
იქით—ხუთი,
აქეთ—ხუთი,
გაიტაცეს თათით ბურთი,
სადღაც გაქრა
მათი ბურთი,
თეთრმე ოო ბატიბუტი.
შეშეკითხოთ კატუნებს,
ხომ არ შეაკნატუნეს?

ბუმბერაზის ფეხსაცმელი

ბუმბერაზის ფეხსაცმელი
ბოლოდ ბოლოდ
ბოლოდ ბოლოდ
ბოლოდ ბოლოდ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გელოვანი

მანგუსტა

აფრიკაში ბინადრობს ეს ჰატარა მხეცი,
კაცის მეგობარია, აქვს ფაფუკი ბეწვი.
იქნევმონიც ჰქვია და ფარაონის თაგვიც,
„მამებარიც“, მუნგოც და რიკი-ტიკი-ტავიც.
ბუნებამ თუ განგებამ მისცა თვალი წვეილი,
ლომის შეუპოვრობა და ორმოცი კბილი.
დააკისრა საშინელ ასჰიტებთან ომი,
ვისაც უფრთხის მხეცთა თუ კაცთა მთელი ტომი.
სიმამაცით, სიმარჯვით ისახელა თავი
და ჩიტებმა უწოდეს რიკი-ტიკი-ტავი.

I

აი, მოდის კობრა და აქანავებს თავსა,
ებერება კისერი, მოსრიალებს ნაესად.
გამოხტება მანგუსტა და ეცემა ფიცხლავ,
გაუსხლტება ასჰიტი, ცხოველების რისხვა.
ისარივით აწვდილი, ტანს ზამბარად შეკრავს
და შიგ გულში უმიზნებს სასიკვდილო ნესტარს.
მაგრამ ვიდრე ზამბარა გაიშლება მქისე,
მივარდება მანგუსტა, ჰირს ჩაავლებს მეისვე,
„სათვალიან“ კისერში ეჭიდება კობრას,
ტანზე მმიმე რგოლები ეგრიხება მწეობრად,
იკლაკნება ასჰიტი, ბრაზით გულზე სდება,—
ჰირს არ უშვებს მანგუსტა, თუმცა წელში წედება.
ატრიალებს ასჰიტი მტერს აღმა და დაღმა,
ჭიდილია ისეთი, ბალახიც კი გახმა.
დასცქერიან ფრთოსნები და კვნესიან მაღლა...
ჩიტებს რადა აწუხებთ ან რამ დაანაღვლათ?
როგორ თუ რა? ნაია მათი მველი მტერია!
ბევრის კვერცხი უსანსლავს, ბევრიც დაუჭერია:
„რიკი-ტიკი-ტავია ჩვენი მეგობარიო,
და თუ იგი დამარცხდა, ვაი ჩვენი ბრალიო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოისხლიტა ასჰიტმა, ჰირი გააშვებინა,
და ეგონა, დანესტრა, სული გაცხებინა,
მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! თუ ვერ იხსნა თავი,
მაშინ რისი რიკია... რისი ტიკი-ტავი!
უცებ დიდი ხვრელიდან გამოვარდა ვარანი,
კობრამ იქვე დაგესლა—ვაი, მისი ვარამი!
(ვარანია, ჰატარავ, ხვითქისტოლა ხელიკი,
ხვითქი კიდევ—ნიანგი)... დახე, რიკი-ტიკი!
ოდნავ სული მოითქვა, გამოიჭრა ისევ,
ვარანის მკვლელს უშიშრად შეუტია მეისვე.

* * *

ბრძოლა ისევ განახლდა, საშინელი, მძაფრი...
უდაბნოში ვველია ისარივით სწრაფი.
დასწრო და დანესტრა... ცეცხლია თუ ვესლი?
ვაერიდა მანგუსტა, ნახა რაღაც ფესვი,
შეჭამა და მოურჩა, მოიკრიბა ძალა...
მეფე-კობრა ბრძოლის ველს უკვე ვაეცალა.
დაეწია მანგუსტა, ისარივით ძალი,
ჩაფრინდა კისერში, გაუსწორა თვალი.
ისევ დაისისინა ბრაზიანმა კობრამ,
ისევ მძიმე რგოლები მოახვია მწეობრად.
გაუჭირდა მანგუსტას,—არ დაიტეო დაღლა,
მთელი მისი ძალ-ღონე კბილებშია ახლა!
ჩაახო და მოზიდა, დაუგრიხა თავი...
ბოლოს ვველიც მოდუნდა, დღე დაადგა შავი.
დრო იხელთა მანგუსტამ, ჭმონდა ებები რკინის,
მოუსინჯა ნაიას შხამიანი ტვინი.
ერთხელ, უკანასკნელად გაიბრძოლა ვველმა,—
გაიმარჯვა მანგუსტამ, გაახარა ველა.

* * *

როცა ეკითელ ქვიშაზე გაიშოტა კობრა
და მრისხანე რგოლები დაალაგა მწეობრად,
ახმიანდნენ ფრთოსნები: „გამოიდო თავი!
გაიმარჯვა სიცოცხლემ, რიკი-ტიკი-ტავი!“
გაიგონეს, მოვიდნენ ნადირები ჯარად,
გაეგება მანგუსტა, გაუცინა წენარად.

ლიდა სტვილია

ეს ბულბულის ბუდეა!

მეკითხება მედია:
— ეს რა ჩიტის ბუდეა?
— ეს ბულბულის ბუდეა—
საქართველოს ბულბულის,
მოქსოვილი ასკილზე
თივითა და ბუმბულით...
ბულბული კი, ჰატარავ,
ის ლამაზი ჩიტია,
სიყვარული ქართველთა
გულში რომ ჩაიტია!
მთელი ღამე წუსელის
ბალობით რომ კითია!

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

კარლო კოზერიძე

კ ო ნ ა

ალბათ იცი, რომ **ლექსიკონი** ის წიგნია, „რომელშიც ანბანზე გაწყობილი სიტყვებია ახსნილი, განმარტებული ან თარგმნილი“. ისიც იცი, რომ მეორენაირად ლექსიკონს „**სიტყვის კონა**“ ჰქვია. მაგრამ, თუ დავუკვირდებით, „სიტყვის კონა“ უფრო ხატოვან თქმასა ჰგავს, ვინაიდან სიტყვა „კონა“ თავისი შინაარსით სიპატარავეზე მიგვანიშნებს; აკი სულხან-საბა ორბელიანიც ამას ამბობს თავის ქართულ ლექსიკონში: „**კონა**—ყვავილის, მწვანილის, წკეპლის... წყობით შეკვრა“. აზუსტებს კიდევაც — მცირე შეკვრაო. არადა, იმდენი სიტყვაა ჩვენს დალოცვილ დედა-ენაში, იმდენი, რას ამბობ, რისი კონა — ერთ წიგნად რომ მოვუყაროთ თავი, სხვაზე არაფერს ვიტყვი, მე კი ნამდვილად გამიჭირდებოდა იმ წიგნის თავისუფლად ტარება!

მაგრამ ლექსიკონის სინონიმად უკვე დაკანონებულია „სიტყვის კონა“ და, ისღა დავგრჩენია, რომელიც მოგვწონს, ის ვიხმაროთ, წერისას თუ საუბარში.

მაშ ასე, საბა პაპა გვასწავლის, რომ ყვავილის, მწვანილის, წკეპლის „წყობით შეკვრას“ კონა ჰქვია.

კონა ჰქვია აგრეთვე მწიფე მარწყვის შეკვრას და... ფიჩხის შეკვრასაც.

შეშის შეკვრას **გუდურა** ჰქვია, ოღონდ ისეთ შეკვრას, წასაღებად ზურგზე რომ მოვიგდებთ და დავძრავთ, მოვერევით.

ეკლის, უფრო ძეძვის კონას **ჯალჯს** ვეძახით. ჯალჯით შინავენახებს, ესე იგი, სოფელში რომ გვაქვს ანდა სოფელთან ახლოს, იმ ვენახებსა და ბაღჩა-ბაღებს შევღობავთ ხოლმე.

ყვავილების შეკვრაზე ვამბობთ — თაიგულიაო. იაც ყვავილია, ფურისუალაც, ენძელაც, მაგრამ ამ ყვავილების შეკვრას კონას ვეძახით. ამითაც მტკიცდება, რომ კონა სიპატარავეზე მიგვანიშნებს.

მომკილი ყანის მოზრდილი შეკვრა **ძნაა**. მომკელები ყანას რომ მკიდნენ, რაც მარცხენა ხელში მოჭრილი ყანა დაეტეოდათ (მარჯვენაში ნამგალი ეჭირათ), ამას **ხელეურს** ეძახდნენ.

ქაღალდის ფურცლების ან ქაღალდის ფულის კონას, შეკვრას **დასტა** ჰქვია. დასტას ვეძახით, აგრეთვე, რამდენიმე თავშეყრილ ადამიანს, ჯარისკაცთა მცირე რაზმს ან აღმოსავლური საკრავების დამკვრელთა ანსამბლს. ვიტყვით, მაგალითად, მედუდუკეთა დასტას.

შეიძლება იკითხოთ, რაც არ შეიკვრება, ის როგორღა ავკინძოთ ან რა ერქმევაო? სწორი შეკითხვაა და პასუხიც მზად მაქვს:

ტყეში სასარგებლო სოკო თუ შეგვხვდა და დაკრეფა გვინდა, მაგრამ არც კალათა გვაქვს, არც სხვა ისეთი რამე, რაშიც ჩალაგება შეიძლება, მაშინ ან დანით გამოვჭრით, ან უბრალოდ მოვტეხავთ წვრილ ჩხირს. სოკო რომ არ წაძვრეს, თავში კავიანივით დავუტოვებთ ტოტის ნაწილს და ზედ გრძლად ავასხამთ სოკოს. ამას **ასხმულა** ჰქვია. ასე ასხამენ წვრილ თევზსაც. თევზის ასხმულას **ღარადელას** ვეძახით. ასხმული ყურძნის მტევნები **ჯაგანია**, — ნიორი და ხახვი — **გალა**, **აცმულა**, ჩირი — **ასხმულა**; ბარემ ამასაც ვიტყვი: მძივი კიდევ — **ჩანჩხურა**.

არის ისეთი ხილიც, რომლისაც არც გალა გაგონილა, არც აცმულა, არც ასხმულა, არც კონა, მაგალითად: ბლისა და ალუბლისა. თუ ბალსა და ალუბალს ძალიან, ძალიან ასხია, მომცრო მსხმოიარე ტოტს მოვატეხავთ ხოლმე — ეს **კუნწულაა**.

მაგრამ თუთის კუნწულა არ გაგონილა და აი, რატომ: მწიფე თუთა მალე სწყდება ტოტს, ნიავის ოდნავ წამობერვაზეც კი მიწაზე ცვივა. ესეც უნდა იცოდე, თორემ ისე დაგემარ-თება, პატარაობისას სოფლელები რომ ვატყუებდით ქალაქელ გოგო-ბიჭებს: ბლის ან ალუბლის კუნწულას მივართმევდით და ვეუბნებოდით, თუთის კუნწულაც ხომ არ მოგიტანოთო. რაღა თქმა უნდა, უარს არ ამბობდნენ, ამიტომაც ვიცინოდით ხოლმე, ჰო-ჰო, როგორ ვიცინოდით!

მხატვარი ედუარდ ამგოკაძე

თავსატეხი



ზოთა ამირანაშვილი

მოცემულ უჯრებში ჩაწერეთ ფრინველების სახელები, ისე რომ მათმა საწყისმა ასოებმა (1-დან 33-მდე) სრული ქართული ანბანი შეადგინონ.

ᲓᲘᲚᲐ

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ᲔᲜᲕᲔᲠ ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔ

სარედაქციო კოლეგია: ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲐᲛᲒᲝᲙᲐᲫᲔ, ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲜᲗᲘᲫᲔ, ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲒᲐᲒᲣᲐ, ᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲘᲚᲝᲛᲝᲜ ᲓᲔᲛᲔᲣᲠᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲔᲘᲚᲐ ᲔᲠᲐᲫᲔ, ᲒᲔᲚᲐ ᲚᲝᲡᲐᲮᲐᲠᲘᲫᲔ, ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲯᲣᲠᲑᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲝᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲡᲐᲛᲮᲐᲒᲠᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ), ᲗᲔᲝᲓᲝᲖᲘ ᲧᲐᲚᲐᲣᲠᲘ (ᲐᲛᲮᲐᲒᲠᲝ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ), ᲒᲘᲕᲘ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ, ᲒᲘᲕᲘ ᲞᲘᲯᲘᲜᲐᲫᲔ, ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲮᲐᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲔᲜᲓᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 10. 03. 87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 05. 87 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზ. ნაბ. ფურცე. 2,5. ტირაჟი 168.000. შეკვეთა 657.

ᲣᲓᲐᲖᲔ ᲜᲐᲑᲐᲭᲘ ᲡᲝᲤᲘᲝ
ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства. 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 657

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ნანა იოსელიანი

ეს გოგონა და ბიჭუნა ხან ფეხსაცმელს იცვლიან, ხან კაბის საყელოს; ხან ღილები აქვ. აწყვეტილი, ხან ჯემპრი აქვთ ამოწეული.

აბა, თუ მონახავთ სულმთლად ერთნაირად ჩაცმულ წყვილებს.